დამტკიცებულია
შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის
აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი №13
„ 22 “ 12 2017წ.

რექტორი: _____ მარინა ფირცხალავა

საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებები

1.1.საერთაშორისო ურთიერთობების და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (შემდგომში სამსახური), წარმოადგენს შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის (შემდგმში უნივერსიტეტი) დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

1.2.სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

1.3.სამსახური და სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტირისა და აკადემიური საბჭოს წინაშე;

თავი II. სამსახურის საქმიანობა და ფუნქციები

2.1.სამსახური ვალდებულია, მოიძიოს და დაამყაროს უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობები;

2.2.დაეხმაროს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონლს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებაში;

2.3.მოიპოვოს ინფორმაცია და დაეხმაროს უნივერსიტეტს საერთაშორისო ქსელებში, გაერთიანებებსა და კავშირებში გაწევრიანების მიზნით;

2.4.მიაწოდოს შესაბამის სამსახურს უახლესი ინფორმაცია ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით, უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორების ვიტიზების, ღონისძიებების, გეგმებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ნებისმიერი ღონისძიების შესახებ;

2.5.მოამზადოს და გააცნოს ინფორმაცია (პრეზენტაციების სახით) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, სხვადასხვა ქვეყნის საელჩოს ატაშეებსა და წარმომადგენლებს, უცხოელი სტუდენტების მოზიდვისა და უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობისა და პოპულარიზაციის გაზრდის მიზნით;

2.6.მოიძიოს ინფორმაცია სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის, კონფერენციების და სხვა სტუდენტთა საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ და სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურთან ერთად უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირებულობა და მსგავს პროექტებში ჩართვა;

2.7.უზრუნველყოს გაცვლითი პროგრამით ჩამოსულ პროფესორ-მასწავლებელთა, მოწვეულ უცხოელ პროფესორთა დახვედრა და მომსახურება;

2.8.ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორი ან სტუმარი ორგანიზაციების მიღების ორგანიზება;

2.9. ერთობლივი ღონისძიებებისა და პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, სახელისუფლებო სტრუქტურებთან, სასწავლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

2.10. უზრუნველყოს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის, აკადემიური პერსონალის, წარმატებული სტუდენტებისა და კურსდამთვარებულთა პოპულარიზაცია;

2.11. ნებისმიერი შეხვედრის დაგეგმა, ორგანიზება და სიახლეების ველში ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსება;

2.12. უნივერსიტეტის ბანერების, ბუკლეტების და სხვა კორპორატიული ნივთების დამზადება;

2.13. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის მომზადება. პრესრელიზების, საინფორმაციო მასალების მომზადება, ოფიციალური მიმართვებისა და განცხადებების მომზადება;

2.14.რექტორისა და ადმინისტრაციის სხვა წევრების საქმიანი ვიზიტების დაგეგმვა-ორგანიზება;

2.15.რექტორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების დავალებების შესრულება, სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში.

თავი III. სამსახურის ხელმძღვანელობა

3.1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი, აკადემიური საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

3.2.სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას

ბ) ანაწილებს მოვალეობებს სამსახურის თანამშრომლებს შორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს, აკონტროლებს სამსახურში დასაქმებულთა მიერ თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებას.

გ) ანგარიშვალდებულია სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ რექტორთან და აკადემიურ საბჭოსთან;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შუამდგომლობს უნივერსიტეტის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაზე.

3.3. სამსახურს შესაძლოა ყავდეს სპეციალისტები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი, სამსახურის უფროსის რეკომენდაციით. სამსახურის სპეციალისტების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება სამსახურის უფროსის სამსახურებრივი დავალებებითა და საქართველოს კანონმდებლობით;

თავი IV. დასკვნითი დებულებები

4.1. სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.